

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.08.2021

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2021 წლის ივლისი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტით შემცირდა. ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე ფასების 7.2 პროცენტით კლება დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 18.8 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები 21.0 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 21.1 პროცენტით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე 10.1 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 7.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ივლისში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ივლისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	118.8	18.79
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	121.0	0.91
C	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	121.1	15.91
10	კვების პროდუქტები	121.0	6.59
D	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი	110.1	1.62
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით	107.5	0.35

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.08.2021

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე =100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge